აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 5

26 დეკემბერი 2006 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები ქეთევან ჯიქია, გუგული დუაძე, თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრები თამაზ შარმანაშვილი და გია გარსევანიშვილი, რომლებიც გაფრთხილებული იყვნენ კომისიის სხდომის ჩატარების შესახებ

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: აპარატის უფროსი მუხრან კაკაბაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნესტან ნაკაშიძე, ეკონომიკური სამსახურის უფროსი ლევან სამნიძე;

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, უსურვა ნაყოფიერი მუშაობა და წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის № 4 დადგენილებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე)

2. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 18 იანვრის № 1 დადგენილებით დამტკიცებულ საშტატო განრიგში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე)

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის თანამშრომლის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე)

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე)

5. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მივლინების ფორმის დამტკიცების შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე)

1. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის № 4 დადგენილებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენში შესატანი ცვლილებები და დამატებები ძირითადად განპირობებულია იმ თვალსაზრისით, რომ არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით საჭიროა უმაღლეს საარჩევნო კომისიაში შეიქმნას კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებელ მუშაობას, მოახდენს უსკოში არსებულ მონაცემთა ბაზების, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებას და საჭირო შემთხვევაში მათ მოდიფიცირებას, სხდომის თავმჯდომარემ მუხლობრივად განიხილა ყველა ის ცვლილება და დამატება, რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.
სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ ბ “ ქვეპუნქტისა და უმაღლეს საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის № 4 (გაზეთი „ აჭარა “ 23. 05. 06 № 91) დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ კ “ და „ ლ “ პუნქტები:

„ კ) წარმოადგენს უსკოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და სხვა პირებთა ურთიერთობისას.

ლ) ანიჭებს უფლებამოსილებას უსკოს წარმომადგენლობაზე სასამართლო, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას. “

მუხლი 2. მე-8 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ “ ქვეპუნქტი:

„ ზ) კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური. “

მუხლი 3. მე-15 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინარსის 15^1 მუხლი:

„ მუხლი 15^1 კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური

კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური:

ა) უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებელ მუშაობას;

ბ) გეგმავს და ეტაპობრივად ახორციელებს არსებული კომპიუტერული ქსელის გაფართოებას, მასში საარჩევნო ოლქებისა და უბნების ჩართვის გზით;

გ) აყალიბებს მონაცემთა ბაზის შექმნის ერთიან კონცეფციას, ქმნის და ახორციელებს შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას და ავრცელებს მას ქვემდგომ კომისიებში;

დ) ასრულებს კომპიუტერული ტექნიკის მიმდინარე სარემონტო პროფილაქტიკურ სამუშაოებს;

ე) სხვა სამსახურებთან ერთად უზრუნველყოფს კომისიისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებას და კომპიუტერულ დამუშავებას;

ვ) ქმნის კომისიისათვის საჭირო სხვადასხვა მონაცემთა ბაზებს, ახდენს არსებულ მონაცემთა ბაზების, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებას და საჭიროების შემთხვევაში მათ მოდიფიცირებას;

ზ) უზრუნველყოფს კომპიუტერული ქსელის უსაფრთხოებას;

თ) ახორციელებს კომპიუტერული სისტემის კოორდინაციასა და ფუნქციონალურ უზრუნველყოფას;

ი) ახორციელებს პროგრამულ უზრუნველყოფას და შესაბამისი წინადადების მომზადებას პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესების თაობაზე;

კ) უზრუნველყოფს კომისიისათვის საჭირო მასალების სისტემატიზირებასა და შენახვას;

ლ) ასრულებს სხვა მოვალეობებს. "

მუხლი 4. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ № 30) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 18 იანვრის № 1 დადგენილებით დამტკიცებულ საშტატო განრიგში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ

სიტყვით გამოვიდა სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 18 იანვრის № 1 დადგენილებით დამტკიცებულ საშტატო განრიგს უნდა დაემატოს კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური სამი საშტატო ერთეულით: უფროსი და ორი სპეციალისტი. რაც შეეხება დამხმარე მოსამსახურედ დარჩება დამლაგებლის და მძღოლის საშტატო ერთეული, ხოლო კომპიუტერის ოპერატორის საშტატო ერთეული გაუქმდება მოცემული დადგენილების ამოქმედების დღიდან და გადმოვა კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურში. რაც შეეხება დადგენილების ამოქმედებას მან კომისიის წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნული დადგენილება ამოქმედდება ,, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2007 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ " აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ამოქმედების დღიდან, იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებელია მოცემული კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვარს ან სხვა რიცხვში, სხდომის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა იმ თანხების შესახებ, რაც

საჭიროა კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურისათვის და განიხილა ყველა ის ცვლილება და დამატება, რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 18 იანვრის № 1 (გაზეთი „ აჭარა " 19. 01. 06 № 8) დადგენილებით დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგი "

2. დანართს დაემატოს შემდეგი შინაარსის 12^1 პუნქტი

12^1	კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური	3		1260

	უფროსი	1	700	700
	სპეციალისტი	2	280	560

3. დანართის მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

15	დამხმარე მოსამსახურე	2		440
	მძღოლი	1	270	270
	დამლაგებელი	1	170	170

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ № 30) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2007 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ამოქმედების დღიდან.

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის თანამშრომლის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიას წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის თანამშრომლის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, 2007 წლიდან აპარატის თანამშრომლებზე დამზადებული იქნება მოწმობის ფორმები.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის თანამშრომლის მოწმობის ფორმის განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ " აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „შ" ქვეპუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის თანამშრომლის მოწმობის ფორმა თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ № 30) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიას წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. მან დაწვრილებით აღწერა ბლანკის ფორმის რეკვიზიტები, და აღნიშნა, რომ 2007 წლიდან უმაღლესი საარჩევნო

	კომისია გამოიყენებს ბევრად განსხვავებულ და ხარისხიან ბლანკს, რომელსაც შეუკვეთავს სტამბას დასამზადებლად, რომელიც ჩაბარდება საერთო სამსახურს და ნომერაციის მიხედვით გაიცემა.
აზრი გამოთქვეს:	კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბლანკის ფორმის განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ
კენჭისყრის შედეგი:	მომხრე 5; წინააღმდეგი 0; კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ “ ქვეპუნქტის საფუძველზე უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს*:*

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბლანკის ფორმა თანდართული ნიმუშის შესაბამისად:

„ ა) უსკოს ბლანკი შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: ბლანკი არის მართკუთხა ფორმის A4 ტიპის, 210X297 მმ. და 11.5 გრ. თაბახის ფურცელი. ბლანკის ზევითა მარცხენა კუთხეში გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო მცირე გერბი. გერბის მარჯვნივ მითითებულია გამომცემი ორგანოს დასახელება სახელმწიფო ენაზე და ამავდროულად ინგლისურ ენაზე. გერბისა და გამომცემი ორგანოს დასახელების ქვემოთ გასმულია 5 მმ სიმაღლის ხაზი 10 სმ სიგრძის. ხაზის ქვემოთ მითითებულია ინდექსის ნომერი, გამოცემის რიცხვი თვე და წელი. ბლანკის ბოლოში, ბოლოდან 3 სმ ზევით გასმულია 18 სმ სიგრძის 0,5 მმ სიმაღლის ხაზი, ხაზის ქვემოთ მითითებულია უსკოს მისამართი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი, როგორც სახელმწიფო ასევე ინგლისურ ენაზე. ბლანკის უკანა მხარეს ბოლო მარჯვენა კუთხეში მითითებულია ბლანკის რიგითი ნომერი. “

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2007 წლის 1 თებერვლიდან.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მივლინების ფორმის დამტკიცების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიას წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მივლინების ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი, მან აღნიშნა, რომ შემუშავებული მივლინების ფორმა უკეთესია უსკოს მიერ დღემდე გამოყენებულ მივლინების ფურცელზე იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებელია ერთი მივლინების ფორმით რამოდენიმე დანიშნულების ადგილზე მისვლა და წამოსვლა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ
სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მივლინების ფორმის განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ " ქვეპუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მივლინების ფორმა თანდართული ნიმუშის შესაბამისად:

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია